საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

№-----

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2023 წელი

„ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ტაბიძე, N39ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 03.04.25.216) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუაისის მუნიციპალიტეტის მერის იოსებ ხახალეისვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვიმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-23 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე, 43-ე და 47 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ტაბიძე, N39ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 03.04.25.216) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი